თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა

კომისიის სხდომის

ოქმი N 4

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 6

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი

რესურსების კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 6

ქ. თელავი 2018 წლის 22 მარტი

თავმჯდომარეობდა: ლევან კოჭლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა მამუკელაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, გიორგი ქიზიყელაშვილი, ლევან ლილუაშვილი, ბაადურ რევაზიშვილი, დავით გოგოშვილი, ტიტე დარეჯანიშვილი, ლევან მრელაშვილი, ზურაბ მუსაევი, ნანა ხვისტანი, ზურაბ ლილუაშვილი, დავით ღაღანიძე, გიორგი ჩაბრაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, ლევან ოთიურიძე, ბესიკ ქოჩიშვილი, ვასილ არაბული, ალექსანდრე კუპატაძე, არჩილ თვალიაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე, საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე, ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები''-ს თავმჯდომარე მაია მარკოზაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ის მიერ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული ,,15.03. 2018. №07'' წერილის განხილვა.

მომხს: ლ. კოჭლოშვილი

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ის მიერ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული ,,15.03. 2018. №07'' წერილის განხილვის შესახებ.

ლ. კოჭლოშვილმა განაცხადა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ თვითონ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' გააცნობდა კომისიას, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ხედვებს და ინიციატივებს. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის წევრმა ბ.რევაზიშვილმა წარმოადგინა ინიციატივები კერძოდ:

1. ოჯახებს რომლებსაც შეეძინებათ მეორე შვილი, გადაეცეთ 500 ლარიანი და ყოველ მომდევნო შვილზე 1000 ლარიანი დახმარება. მან ასევე განაცხადა, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, კახეთის რეგიონში მოსახლეობის სიკვდილიანობის მაჩვენებელი მკვეთრად აღემატება დაბადებულთა რაოდენობას. აღნიშნული ინიციატივის განხორციელებით ხელს შევუწყობთ შობადობის ზრდას და დავეხმარებით ოჯახებს იყოლიონ მეტი შვილი.
2. წარმოადგინა ინიციატივა 20 საუკეთესო შედეგის მქონე აბიტურიენტის 1000 ლარით დახმარების შესახებ, რითაც მოხდება მათი მოტივაციის გაზრდა სწავლისადმი.
3. ინიციატივა - ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველთა ბაზის მონაცემებით არ აღემატება 100 000-ს (ასი ათასი), თითოეულ ბავშვზე კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო წრეების 20 ლარიანი ვაუჩერის გადაცემის შესახებ.

ბ. რევაზიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინიციატივით საშუალება მიეცემათ მოზარდებს დაიკმაყოფილონ ინტერესები, და მიზანმიმართულად დაგეგმონ თავისუფალი დრო. ამავდროულად ყველა ბავშვს შეექმნება განვითარების თანაბარი პირობები.

ლ. კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ წარმოდგენილ ინიციატივებში არის რამოდენიმე საკითხი რაც უკვე

მიმდინარე პროცესებში ხორციელდება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მაგალითად: სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებს აქვთ შესაძლებლობა უფასოდ იარონ კულტურულ, სპორტულ და საგანმანათლებლო წრეებზე. მან განმარტა, რომ ოჯახებს ვისაც ყავს 18 წლამდე ოთხი და მეტი შვილი მიუხედავად მისი სოციალური სტატუსისა, სარგებლობენ პროგრამის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს თითო ბავშვზე 30 ლარს, ოთხ შვილზე 120 ლარს, ხუთ შვილზე 150 და ა.შ.

მან ასევე ისაუბრა საწვავის ეკონომიაზე და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს საწვავით საერთოდ რომ არ ესარგებლა, მაინც შეუძლებელი იქნებოდა იმ თანხის მიღება, რაც გათვალისწინებულია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ წარმოდგენილ ინიციატივებში.

აიპებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ მიმდინარეობს რეორგანიზაცია, რაც შეეხება გამარტივებული ხელშეკრულების საკითხს ლ. კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ ასეთი სახის ხელშეკრულება გაფორმდა მხოლოდ სტიქიის დროს, გადაუდებელი აუცილებლობის გამო, რადგან სატენდერო პირობების შედგენას, ხელშეკრულების გაფორმებას გარკვეული დრო ჭირდებოდა.

რაც შეეხება აბიტურიენტების დაფინანსებას ლ. კოჭლოშვილმა მხარი დაუჭირა იდეას, თუმცა მან აღნიშნა, რომ არ არის სრულყოფილი რადგან გაუგებარია სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულად გამოცხადებული დარგების სტუდენტი უნდა დაფინანსდეს ინიციატივის ფარგლებში თუ თელავის უნივერსიტეტის სტუდენტი. მან ასევე აღნიშნა, რომ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მითითებული ყავს ოცი სტუდენტი, როცა შეიძლება ორმოცდაათ სტუდენტს ჭირდებოდეს ხელშეწყობა. ლ. კოჭლოშვილმა განაცხადა, რომ ინიციატივა კარგია თუმცა დასახვეწია, და საჭიროებს სწორ გათვლას.

იოსებ პარწიკანაშვილმა აღნიშნა, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ წარმოდგენილ წინადადებებსა და ინიციატივებში სავარუდო ციფრებია მოყვანილი და არ არის გაკეთებული კალკულაცია.

გიგა მამუკელაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ინიციატივები მისაღებია თუმცა გასარკვევია რამდენად აქვს მუნიციპალიტეტს მათი განხორციელების საშუალება. მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა საფინანსო საბიუჯეტო კომისიის და მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მიერ, რადგან გამოკვეთილ იქნას მუნიციპალიტეტს აქვს თუ არა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ დაყენებული ინიციატივების განხორციელების რესურსი.

ლევან კოჭლოშვილი დაეთანხმა გიგა მამუკელაშვილის მოსაზრებას.

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ის მიერ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული ,,15.03. 2018. №07'' წერილი განხილულ იქნას ერთობლივად საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის და მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მიერ.

კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი